სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

11 / მარტი / 2024 წ.

KA020109129721424

№ **193/ს**

ბრძანება შპს „ჩხორბიზნეს ცენტრი“_ზე (ს/ნ 442260287) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №984 ლიცენზია - ბრძანებით გათვალისწინებული წიაღისეულის ათვისების გეგმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 4 იანვრის №1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის და მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, „შპს „ლუჩიანო1969“_ზე (ს/ნ 438735692) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №10002891 ლიცენზიის შპს „ჩხორბიზნეს ცენტრი“ -ზე (ს/ნ 442260287) საკუთრებაში მთლიანად გადაცემის შესახებ“ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 29 დეკემბრის №984 ლიცენზია - ბრძანების და შპს „ჩხორბიზნეს ცენტრი“_ს ((ID: 139333, შტრიხკოდი: 2975111, 04.03.2024წ.) სააგენტოში შემოსვლის №2084, 04.03.2024წ.) განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, გომის ადმინისტრაციულ ერთეულში, შპს „ჩხორბიზნეს ცენტრი“ - ზე (ს/ნ 442260287) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების № 984 ლიცენზია - ბრძანებით გათვალისწინებული წიაღისეულის: ქვიშა-ხრეშის ათვისების გეგმა მოცემული ცხრილის შესაბამისად:

წელი	**ასათვისებელი რესურსის ოდენობა მ3**
2024	**13000**
2025 წლის 16 ივნისამდე	**6000**

2. ბრძანება გასაცნობად გადაეცეს დაინტერესებულ მხარეს;

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2).

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150

ტელ: 0 32 2 95 00 30

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტოს უფროსი

ანდრო ასლანიშვილი